



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №15

2017 წლის 28 თებერვალი

ქ. მცხეთა

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალუბნის ტერიტორიაზე მოქალაქე მიხეილ შეყრილაძის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.03.35.216) ღვინის მარნისა და სასტუმრო-რესტორნის მშენებლობისათვის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის, პირველი ნაწილის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი თავის, მე-2 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59-ე დადგენილების 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 27 თებერვლის №08/2/2994 მომართვის საფუძველზე,

1. დამტკიცდეს მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალუბნის ტერიტორიაზე მოქალაქე მიხეილ შეყრილაძის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.03.35.216) ღვინის მარნისა და სასტუმრო-რესტორნის მშენებლობისათვის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების გეგმარებითი დავალება თანდართული დანართით წარმოდგენილი პროექტების შესაბამისად (დანართი: 1. „მცხეთა, სოფ ახალუბნის ტერიტორიაზე (ს/კ 72.03.35.216) ღვინის მარნისა და სასტუმრო-რესტორნის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება“).
2. განკარგულების შესახებ ეცნობოს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: მცხეთა, სამხედროს ქ №17.

